საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1997/01
05/03/2021

1997-01-2-202103051046

ინდივიდუალურ მეწარმე თენგიზ ჯღარკავას
მის: დაბა ხობი, აღმაშენებლის ქ. N37
ელ. ფოსტა: t.jgarkava@yahoo.com

ბატონო თენგიზ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 16 თებერვლის N2619 განცხადება, რომელიც ეხება დაბა ხობში, აღმაშენებლის ქ. N37-ში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ნავთობპროდუქტების მიღების და ავზებში ჩატვირთვის შესახებ ინფორმაცია (ტრანსპორტირების ტიპის და პერიოდულობის მითითებით);
- რეზერვუარებში მიმღები და გასაცემი მილმდენების, ასევე საწვავის გასაცემი სვეტისა და ჩამოსასხმელების რაოდენობა;
- ავტოგასამართი სადგურზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა;
- ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედების საკითხები;
- ინფორმაცია ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შესახებ;
- სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზის წყალმომარაგების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს წარმოდგენილ 4 რეზერვუარში შესაბამისი საწვავის განთავსების საკითხი (რომელი საწვავისთვის რა მოცულობის რეზერვუარია გათვალისწინებული);
- დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე არხის მდებარეობა (ჩაშვების წერტილის კოორდინატი), ასევე მფლობელის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 25 მეტრით. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 8

მეტრში მდებარეობს შენობა-ნაგებობა, რომელიც სავარაუდოდ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს (ს/კ 45.21.23.497). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, რეზერვუარების დამატების ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები არ წარმოიქმნება, თუმცა ასევე აღნიშნულია, რომ დაგეგმილია საოპერატორო, საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციული და სხვადასხვა დამხმარე სათავსოების განთავსება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს იგეგმება თუ არა რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოები და ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით (არსებული ინფრასტრუქტურისა და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე